

როგორ მოახერხეს იტალიამ და საბერძნეთმა საგარეო ვალის მთლიან შიგა პროდუქტზე გადაჭარბება და მაინც რატომ ცხოვრობენ იტალიელები და ბერძნები ქართველებზე უკეთ

ჟურნალი “თბილისელები” – 21-27 ნოემბერი, № 47, 2011

რაკი დედამიწა კვლავაც გლობალური ეკონომიკურ კრიზისშია, ეკონომიკის ზრდა განსაკუთრებით აქტუალურ საკითხად რჩება, მით უფრო, ევროზონაში დატრიალებული მოვლენების გათვალისწინებით. მართალია, საბერძნეთისა და იტალიის ფონზე (რომელთა საგარეო ვალის ოდენობა მთლიან შიგა პროდუქტს არათუ გაუტოლდა, გადააჭარბა) საქართველოს ეკონომიკა მტკიცედ დგას (უფრო მეტიც, 10-პუნქტიანი გეგმით, მთავრობა მთლიანი შიგა პროდუქტის თითქმის გაორმაგებას გეპირდება უახლოეს ხუთ წელიწადში), მაგრამ იმ მარტივი მიზეზით, რომ საშუალო ბერძნები და იტალიელები მაინც საშუალო ქართველებზე უკეთ ცხოვრობენ, ეკონომისტ ლადო პაპავასთან გადავწყვიტეთ იმის გარკვევა, რამ ჩამოშალა ევროზონა და რატომ ვერ მოერია მძვინვარე კრიზისი ლარის ზონა საქართველოს.

– ძალიან ხშირად იყენებს ჩვენი ხელისუფლება ტერმინს – მთლიან შიგა პროდუქტს და მუდმივად გეპირდებიან მის ზრდას, ამიტომ დავიწყეთ იმით, თუ რა არის ეს მთლიანი შიგა პროდუქტი?

– მთლიანი შიგა პროდუქტი არის ერთ-ერთი განმაზოგადებელი ეკონომიკური პარამეტრი და ის ასახავს ეკონომიკის ფუნქციონირებას დროის გარკვეულ ერთეულში. ეს ერთეული, როგორც წესი, არის ერთი წელიწადი, თუმცა შეიძლება, იყოს ადგილობრივი კვარტალური ან ნახევარი წლის მაჩვენებელი. ანუ ის, ახალი, პროდუქტი თუ მომსახურება, რაც წლის განმავლობაში შექმნა ქვეყნის ეკონომიკამ, არის მთლიანი შიგა პროდუქტი. ის საკმაოდ განზოგადოებული მაჩვენებელია და,

როგორღ წესი, ეკონომიკისთვის მარტო ეს მაჩვენებელი დიდად საინტერესო არ არის, რადგან უფრო მეტად მნიშვნელოვანია, თუ რამდენია მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე. მოვიყვან ასეთ მაგალითს: ყველამ კარგად იცის, რომ დღეს, ეკონომიკური სიძლიერით, მსოფლიოში ნომერ პირველი სახელმწიფო არის ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ხნის განმავლობაში მიიჩნეოდა, რომ მეორე ადგილზე იყო იაპონია, მაგრამ ახლა ითქვა, რომ ჩინეთმა გაუსწრო იაპონიას მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობით და მეორე ადგილზე გადაინაცვლა. მაგრამ ვნახოთ, რეალურად მართლაც არის თუ არა მეორე ადგილზე ჩინეთის ეკონომიკა? ამისთვის ჩინეთის მთლიანი შიგა პროდუქტის ოდენობა უნდა გავყოთ ჩინეთის მოსახლეობაზე და ვნახავთ, რომ ჩინეთი ნამდვილად არ არის მეორე ადგილზე. ასე რომ, ეკონომისტებს აინტერესებთ როგორც მთლიან შიგა პროდუქტის ოდენობა, ასევე, არანაკლებ – მთლიანი შიგა პროდუქტის ოდენობა მოსახლეობის ერთ სულზე.

არის კიდევ ასეთი მაჩვენებელი: ეკონომიკური ზრდა და ამიტომაც ეკონომისტები უყურებენ მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდისა და კლების მაჩვენებელს.

– ეს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი ასახავს მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდას?

– დიახ, საქმე ის არის, რომ წლის განმავლობაში ქვეყანაში იწარმოება სხვადასხვა სახეობის პროდუქცია და მომსახურება და თითოეული პროდუქცია და მომსახურება თავის ერთეულებში გამოიხატება. მაგალითად, კარაქი – წონით ერთეულში, გამომუშავებული ელექტროენერგია – კილოვატსაათში და ა.შ. როგორ დავაჯამოთ ეს ყველაფერი? ეკონომისტებს სხვადასხვა სახეობის პროდუქციისა თუ მომსახურების ერთ აგრეგატში მოქცევის საუკეთესო გზად მიაჩნიათ მათი ფასის მიხედვით დაჯამება. ასე რომ, მთლიანი შიგა პროდუქტის მაჩვენებლის გაანგარიშებისას ჯამდება სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების საბაზრო ფასები. ხოლო, როდესაც საუბარია მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის ტემპზე, დგება ასეთი საკითხი: გარდა იმისა, რომ წელს წინა წელთან შედარებით შესაძლოა, შეიცვალა გამოშვებული პროდუქციისა და მომსახურების მოცულობები და ზოგის წარმოება შესაძლოა, საერთოდაც შეწყდა და ახალი გამოვიდა, ფასებიც იცვლება, ამდენად, მიმდინარე წლის მაჩვენებლის გაყოფა წინა წლის მაჩვენებელთან არ იძლევა ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელს, იმ უბრალო მიზეზით, რომ ითვალისწინებს

ფასების ცვლილებასაც. ამიტომ ეკონომისტებს აქვთ კიდევ ასეთი ტერმინი: ნომინალური და რეალური მთლიანი შიგა პროდუქტი. ნომინალურია, როდესაც ყოველ წელს გამოშვებული მთლიანი შიგა პროდუქტი ფასდება სწორედ იმ წლის ფასებით; რეალური მთლიანი შიგა პროდუქტი კი არის ის, როდესაც ყოველ წელს გამოშვებული პროდუქცია ჯამდება ერთ საბაზისო წელს აღებული ფასებით. მაშინ მთლიანი შიგა პროდუქტის ყოველი წლის მაჩვენებლის წინაზე გაყოფა გვიჩვენებს ეკონომიკის ზრდის ტემპს და არა ფასების ზრდის ტემპს.

– ჩვენთან ეკონომიკის ზრდის მაჩვენებლად ნომინალური გამოიყენება თუ რეალური?

– თქვენ დამისვით ისეთი კითხვა, რომელიც, წესით, არ უნდა დაისვას, იმიტომ რომ ეკონომიკის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტმაც კი უნდა იცოდეს, რომ ეკონომიკის ზრდა აუცილებელია გაითვალისწინოს რეალური მთლიანი შიგა პროდუქტით, როდესაც ფასების ზრდის მაჩვენებელი გამორიცხებულია. უფრო მეტიც, როგორც უნდა ვაკრიტიკოთ, სწორედ ასე ანგარიშობს ჩვენს ქვეყანაში სტატისტიკის სამსახური ამ მაჩვენებელს, მაგრამ ასე არ იქცევიან ჩვენი პოლიტიკოსები. რომლებიც მთლიანი შიგა პროდუქტის მაჩვენებელს ხალხის დასაბნევადა იყენებენ. 2007 წლის ბოლოს ქვეყნის პრეზიდენტი ამბობდა, რომ ხუთ წელიწადში მთლიანი შიგა პროდუქტი გასამმაგდებაო. საქმე ის გახლავთ, რომ ხუთ წელიწადში ეკონომიკის გასასამმაგებლად ეკონომიკის ზრდის ტემპი ყოველწლიურად უნდა იყოს 23-24 პროცენტი. ეს ძალიან მაღალი ტემპია და ხუთი წლის განმავლობაში ამ დონეზე ეკონომიკის ზრდის შენარჩუნება არის შეუძლებელი, მაგრამ მოხდა საინტერესო რამ: 2008 წლის მარტის პირველ რიცხვებში პარლამენტი იხილავდა 2008 წლის ბიუჯეტის ცვლილებებს. ტრიბუნასთან იდგა მაშინდელი ფინანსთა მინისტრი ბატონი გილაური და ამბობდა, რომ 2008 წელს მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდის ტემპად აღებული აქვთ 6 პროცენტი. მე დეპუტატი გახლდით და დავუსვი კითხვა: 6-პროცენტთან ზრდაში არ გეკამათებით, მაგრამ როგორ მიმართებაშია თქვენი პროგნოზი პრეზიდენტის დანაპირებთან, იმიტომ რომ პრეზიდენტი შეგვპირდა ეკონომიკის გასამმაგებას და, თუ თქვენ წელს იღებთ 6-პროცენტთან ზრდას, მაშინ დანარჩენ ოთხ წელიწადში ზრდის საშუალო მაჩვენებელი უნდა იყოს 32-33 პროცენტი, რომ დანაპირები შესრულდეს-მეთქი. მან მიპასუხა, რომ, თურმე, ისინი მთლიანი შიგა

პროდუქტის ზრდაში გულისხმობდნენ ფასების ზრდასაც. ეს კი პირველკურსელ ეკონომისტსაც არ ეპატიება!

– ესე იგი, თუ 2008 წელს ერთ ლიტრ ბენზინს ლარად და 60 თეთრად ვიდულობდი და წელს ორ ლარსა და 30 თეთრს ვიხდი, ეს არის ეკონომიკის ზრდა?

– სამწუხაროდ მთავრობა ამას ასარებს ეკონომიკურ ზრდად. ჩვეულებრივი, არაეკონომისტი მკითხველიც მიხვდება, რომ ეს თავის მოტყუებაა, რადგან გამოდის, რომ, რაც უფრო მაღალია ინფლაცია, მით უფრო მაღალია ეკონომიკის ზრდა, მაშინ, როდესაც ინფლაციის დროს ეკონომიკა არათუ არ იზრდება, შეიძლება, მცირდებოდეს კიდევაც.

მაგრამ მსგავსი რამ წერია „საქართველოს სტრატეგიული განვითარების ათპუნქტიანი გეგმაშიც“ და ისევ ხუთწლიან პერიოდზეა საუბარი: 2011-2015 წლები. არის დანაპირები, რომ მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე ხუთი წლის განმავლობაში უნდა გაიზარდოს 60-90-პროცენტით.

– ესე იგი, ოპტიმისტური გათვლით, თითქმის ორჯერ?

– თუ 90-პროცენტს ავიღებთ, თითქმის გაორმაგება გამოდის. ადრე უფრო მარტივად იყო საქმე: ლაპარაკობდნენ მთლიანი შიგა პროდუქტის ზრდაზე, ახლა, მოსახლეობის ერთ სულზეო, რაც უკვე წილადაა, რომლის მნიშვნელიც მოსახლეობის რაოდენობაა. იმისთვის, რომ 5 წლის განმავლობაში 60-პროცენტით გაიზარდოს მთლიანი შიგა პროდუქტი, ეკონომიკის საშუალო ყოველწლიური ზრდა უნდა იყოს 10 პროცენტი, ხოლო 90-პროცენტით გასაზრდელად ეკონომიკის ყოველწლიური ზრდა უნდა იყოს 14 პროცენტი.

– 2011 და 2012 წლების ბიუჯეტებში რამდენია ეკონომიკის ზრდის მაჩვენებლები?

– ქვეყანას არ გააჩნია 14-პროცენტის ზრდის პოტენციალი. რაც შეეხება ბიუჯეტს: საინტერესოა, რომ, ხელისუფლების ოპტიმისტური პროგნოზით, ეს წელი დამთავრდება ეკონომიკის 7-პროცენტის ზრდით. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ მოსახლეობის რაოდენობა უცვლელი დარჩება, 10-პუნქტიან გეგმაში დასახული პარამეტრის მისაღწევად 10 და 14-პროცენტის ზრდა არასაკმარისია. მაგრამ ამის მიღწევა შეიძლება ორი გზით: პირველი გზაა, თუ გულისხმობენ ინფლაციურ ფაქტორს და მეორე გზაა მოსახლეობის შემცირება. არ მგონია, ჩვენი მთავრობა

ხალხის ქვეყნიდან გაყრას ან დახოცვას აპირებდეს. ამდენად, თაემოყვარე პროფესიონალი ამ გეგმაში ამას არ ჩაწერდა. ბატონმა გილაურმა ხომ შესანიშნავად იცის, რომ, გარდა ჩვეულებრივი ადამიანებისა, ამას პროფესიონალებიც წაიკითხავენ და მივხდებიან, რომ ეს ტყუილია?!

– რაკი მთლიანი შიგა პროდუქტი პირდაპირ უკავშირდება საგარეო ვალს, როგორ მოახერხეს ევროკავშირელმა ბერძნებმა და იტალიელებმა თავიანთი ქვეყნების გაკოტრება საგარეო ვალებით და როგორ აღმოჩნდა, რომ ჩვენმა ეკონომიკამ უფრო იყოჩაღა?

– ცნობილი ამბავია, რაც საბერძნეთში მოხდა. ის პოლიტიკური ელიტა, რომელიც გლობალურ კრიზისამდე მართავდა, მაქსიმალურად მაღავდა საგარეო ვალის ოდენობას და მის მიმართებას მთლიან შიგა პროდუქტთან. საერთოდ, ეკონომისტები თვლიან ასეთ პარამეტრს: საგარეო ვალი არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი შიგა პროდუქტის 60-პროცენტს, რადგან ეს არის საშიში ზღვარი. საბერძნეთის მთავრობა ამას მაღავდა, მაგრამ ახალმა მთავრობამ ეს ინფორმაცია საჯარო გახადა და აღმოჩნდა, რომ საბერძნეთის საგარეო ვალი მთლიან შიგა პროდუქტთან მიმართებით არის 180 პროცენტი. ანუ საშიშ ზღვარზე სამჯერ მეტი, რაც იმას ნიშნავს, რომ ბერძნები ცხოვრობდნენ დანარჩენი ევროკავშირის ხარჯზე, ისევე, როგორც იტალიელები. მათი საგარეო ვალი მთლიანი შიგა პროდუქტის 110-პროცენტს შეადგენს. მინდა გითხრათ, რომ არც ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს კარგად საქმე: მისი საგარეო ვალი მთლიანი შიგა პროდუქტთან მიმართებაში 120-პროცენტია. მაგრამ ამერიკული დოლარი ემსახურება არა მარტო ამერიკის შეერთებული შტატების, არამედ მსოფლიოს ეკონომიკას, ის მაინც გლობალური მსოფლიო ვალუტაა და ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის არ არის იმდენად პრობლემური, რომ საგარეო ვალი საშიშ მახვენებელს ორჯერ აღემატება.

– იმ მიზეზით, რომ საგარეო ვალის გადახდისუნარიანობა პირდაპირ უკავშირდება მთლიან შიგა პროდუქტს, როგორ შეაფასებდით პრეზიდენტის განცხადებას, რომ ჩვენ თამამად უნდა ავიდოთ საგარეო ვალი?

– ჩვენი საგარეო ვალი მთლიანი შიგა პროდუქტის 40 პროცენტზე მეტია. შესაბამისად, 60-პროცენტამდე გვაქვს ლუფტი და, ალბათ, ამან გააკეთებინა საქართველოს პრეზიდენტს განცხადება, რომ ვალების აღება კიდევ შეგვიძლია.

თუმცა ეს მაინც ცუდი განცხადებაა, იმიტომ რომ ვალების აღება არ უნდა იყოს თვითმიზანი. მაგრამ, მოდი, ვნახოთ, როგორ უყურებს ამას მთავრობა და ამისთვის ისევ 10-პუნქტიანი გეგმა მოვიშველიოთ: არც მთავრობა ხუჭავს თვალს იმაზე, რომ შეიძლება მსოფლიო კრიზისი გაგრძელდეს და ამიტომაც გვთავაზობს „ფინანსურ ბალიშს“. „ფინანსური ბალიში“ არის ფული ევრეთ წოდებული “შავი დღისთვის”. იცით, რომ ადამიანებიც ცდილობენ, შეაგროვონ თანხა გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის და სახელმწიფოც უნდა ცდილობდეს რაღაც თანხის გადადებას და სწორედ ამას უწოდებენ ეკონომისტები „ფინანსურ ბალიშს“.

სწორედ ამის შესახებ წერია 10-პუნქტიან გეგმაში, რომ, თურმე, მთავრობის ამოცანაა, საგარეო ვალის მოცულობა ჩამოიყვანოს მთლიანი შიგა პროდუქტის 20-დან 30-პროცენტამდე, რასაც მივესალმები და ამით იქმნება “ფინანსური ბალიში”. რადგან, თუ კრიზისი გადრმაგდა, შეგვიძლია, ახალი ვალი ავიღოთ და 60-პროცენტამდე უკვე გაზრდილი ლუფტი შევაგსოთ, რომ ქვეყნის ეკონომიკა არ დაზარალდესო. საერთოდ, ისეთ ქვეყნებში, რომლებსაც აქვთ ნავთობი და გაზი, „ფინანსურ ბალიშად“ იყენებენ ნავთობისა და გაზის გაყიდვით შემოსულ თანხას, ჩვენი ტიპის ქვეყანაში კი შეიძლება, გამოვიყენოთ პრივატიზაციიდან ამოღებული თანხა, მაგრამ იმის თქმა, რომ საგარეო ვალი ავწიოთ, რომ კრიზისის დროს ფული ვისესხოთო, არის არა „ფინანსური ბალიში“, არამედ ღიმილისმომგვრელი განცხადება. თან ძალიან საშიშიც, რადგან, მსოფლიო კრიზისი ნიშნავს თავისუფალი ფულის დეფიციტს, რის გამოც საბანკო სესხებზე საპროცენტო განაკვეთი მაღალი იქნება, ანუ სესხი გაძვირდება. შეიძლება ასეთ დროს სესხის აღება?! ამდენად, ეს არის არა „ფინანსური ბალიში“, არამედ ფინანსურ ყულფში თავის გაყოფა. იმის ნაცვლად, რომ ახლა მაინც იფიქროს მთავრობამ პრივატიზაციიდან შემოსული თანხის „ფინანსური ბალიშში“ ჩასადებად, უფრო დიდ შეცდომას სჩადის.

– ევროზონა ჩამოიშალა თუ არ ჩამოიშალა, ფაქტია, რომ იქ ცხოვრების ღონე ჩვენსაზე გაცილებით უკეთესია, თავისი სოციალური დაცვის მექანიზმებიანად, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჩვენი ეკონომიკის, თუნდაც, 6-პროცენტიანი ზრდის ტემპით, საგარეო ვალი 40-პროცენტის მიდამოებშია. ეს როგორ ხდება?

– ამ შემთხვევაშიც გამოვიყენოთ ჩვენი, ოღონდ ამჟამინდელი ფინანსთა მინისტრის განცხადება, რომელიც მან რამდენიმე კვირის წინათ გააკეთა: 2008 წელს ჩვენთვის გამოყოფილი 4,5 მილიარდიდან ჯერ ნახევარიც არ არის დახარჯული.

– **უფრო ადრე ითქვა, რომ ის დახმარება, ძირითადად, უკვე დახარჯულია და მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობაა ასათვისებელი?**

– შევთანხმდეთ იმაზე, რომ საქართველოს ეკონომიკა არ ჩამოიშალა და არ ჩამოიშალა იმიტომ, რომ ჩვენ დაგვეხმარნენ იმ 4,5 მილიარდი დოლარით. რაღაც თანხა მართლაც დარჩა ასათვისებელი, თუმცა, რამდენია, არ ვიცი და იძულებული ვარ, ფინანსთა მინისტრს ვენდო სიტყვაზე. სწორედ ის 4,5 მილიარდია ჩვენი ეკონომიკის გადარჩენის მექანიზმი. ამ მოვლენას მე დავარქვი „ომის პარადოქსი“. ომი, თავისთავად, ტრაგედიაა, მაგრამ ჩვენ ომმა მოგვიტანა პოზიტიური შედეგიც: რომ არა ომი, გლობალური კრიზისის დროს საქართველოს ოთხ-ნახევარი მილიარდი დოლარით არავინ დაეხმარებოდა. მეტსაც გავიხსენებ: როდესაც 2008 წლის ოქტომბერში საქართველოს მთარობა ბრიუსელში მიდიოდა კონფერენციაზე, რომელზეც უნდა განხილულიყო საქართველოსთვის დახმარების გაწევის საკითხი, მაშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ საქართველოს მთავრობას განაცხადი შეტანილი ჰქონდა 3,5 მილიარდზე, მაგრამ მოგვცეს 4,5-მილიარდი. იმაზე მეტი, ვიდრე ჩვენ ვითხოვდით. თანაც ამ 4,5 მილიარდში არ შევიდა მილიარდზე მეტი დოლარი, რომელიც დამატებით მოგვცა საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მაკროეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად. აი, ამით იხსნება, თუ რატომ გადავრჩით და როგორ მოვედი დღემდე.

ნინო ხაჩიძე